სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №15

ქ. თბილისი 11 მარტი, 2021 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ვიგორა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თემური ქედელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის NAT210001896 ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“,“კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. “შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. “მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (ქ.თბილისში, ლადო გუდიაშვილის ქ.N5-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთკის I კორპუსის საცავის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები) (CPV კოდი-45300000) შესყიდვა, რომელიც აღნიშნულია მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ ტექნიკურ დავალებაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9723,45 (ცხრა ათას შვიდას ოცდასამი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. სამუშაოების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 10 მაისის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.№5 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5.2. ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.3. შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის, საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს" ან/და შესაბამის სფეროში არსებული აკრედიტირებული დაწესებულების მიერ. ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5.4. შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშწორება განხორციელდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6.2. შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს სამუშაოების დასრულების დღიდან.

6.3. სამუშაოების დასრულების შემდეგ 3(სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

6.4. სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებული უნდა იყოს ახალი, პირველადი გამოყენების მასალა.

6.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კედლების და ა.შ. მათი თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2. ფასების ცხრილით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, შემსყიდველთან მიღებული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი, ამ აქტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.

7.3. შესყიდვის ობიექტის მიღების საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაოების წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, მიღება–ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე - ზურაბ გაბუნია.

უფლებამოსილი პირი_____

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

-ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

- ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ მიმწოდებელი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- შესრულებული სამშენებლო სამუშაოები იყოს ხარისხიანი, რომლებიც უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა.

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

10.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის, რაოდენობის, მოწოდების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

10.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

12. ფორს– მაჟორი

12.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.4. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

14.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

14.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადაგადაცილებისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.7. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.8. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე- შემსყიდველს.

17 . მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს პარლამენტის	შპს „ვიგორა“
ეროვნული ბიბლიოთეკა	ქ.ბათუმი,შ.ხიმშიაშვილის ქ.N37
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი	ბ.61
ს/კ 0107, ლადო გუდიაშვილის ქ. №7	საიდ.კოდი: 445427360
საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018	სს „თიბისი ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. №200122900	ა/ა GE68TB7359536080100004

გენერალური დირექტორი	დირექტორი
_____	_____
გიორგი კეკელიძე	თემური ქედელიძე

THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

Digitally signed by THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA
Date: 2021.03.11 14:02:06 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება_____შპს "ვიგორა"

სამშენებლო-სამონტაჟო-სამუშაოების (ქ.თბილისში, ლადო გუდიაშვილის ქ. N5-ში მდბარე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის საცავის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების) შესყიდვა

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*
	გათბობა:									
1	ასფალტის საფარის მონგრევა	კვ.მ	10,00	0,00	0,00	1,25	12,50	0,32	3,20	15,70
2	მიწის გათხრა მილების გასაყვანად შემდგომი უკუჩაყრით	კბ.მ	3,20	0,00	0,00	18,32	58,62	0,00	0,00	58,62
3	ღარში ქვიშის ფენილის მოწყობა	კბ.მ	1,00	31,90	31,90	10,80	10,80	0,00	0,00	42,70
4	კანალიზაციის გოფრირებული დ-110 მმ მილების მოწყობა გათბობის მილების გასაყვანად	მ	18,00	12,05	216,90	1,76	31,68	0,00	0,00	248,58
5	ბეტონის საფარის მოწყობა	კბ.მ	0,80	110,60	88,48	8,23	6,58	1,14	0,91	95,98
6	ზედმეტი გრუნტის ხელით დატვირთვა ა/მანქანაზე	ტონა	1,50	0,00	0,00	3,18	4,77	0,00	0,00	4,77
7	გრუნტის ტრანსპორტირება 25 კმ მანძილზე	ტონა	1,50	0,00	0,00	0,00	0,00	10,74	16,11	16,11
8	პლასტმასის გათბობის მილების გაყვანა დ-32მმ ფასონური ნაწილებით	გ/მ	124,00	5,79	717,96	7,18	890,32	0,09	11,16	1 619,44
9	პლასტმასის გათბობის მილების გაყვანა დ-25 მმ ფასონური ნაწილებით	გ/მ	20,00	3,69	73,80	6,58	131,60	0,11	2,20	207,60
10	პლასტმასის გათბობის მილების გაყვანა დ-20 მმ ფასონური ნაწილებით	გ/მ	30,00	2,66	79,80	5,39	161,70	0,07	2,10	243,60
11	პოლიპროპილენის სფერული ვენტილი დ-32 მმ	ც	2,00	28,78	57,56	9,06	18,12	0,52	1,04	76,72
	კომპენსატორის მოწყობა დ-32 მმ	ც	6,00	50,28	301,68	3,22	19,32	0,15	0,90	321,90
12	მილების კაუჩუკის იზოლაცია დ-35 მმ	მ	50,00	1,70	85,00	0,07	3,50	0,00	0,00	88,50
13	პანელური რადიატორი სიმაღლე 90 სმ	გ/მ	12,00	253,84	3 046,08	0,00	0,00	0,22	2,64	3 048,72
	პანელური რადიატორის მონტაჟი	ც	10,00	0,02	0,20	4,82	48,20	0,00	0,00	48,40
14	რადიატორის ვენტილი (მიწოდება და უკუსვლა)	ც	20,00	12,96	259,20	9,07	181,40	0,00	0,00	440,60
15	ქურო 20-1/2" გარე ხრახნით	ც	20,00	2,80	56,00	0,00	0,00	0,00	0,00	56,00
16	არსებულ გათბობის ქსელე დაეთება	დაერთება	1,00	0,56	0,56	7,44	7,44	1,04	1,04	9,04
17	მილების ლითონის სამაგრი დ-32 მმ	ც	50,00	1,25	62,50	0,00	0,00	0,00	0,00	62,50
18	პოლიპროპილენის მილის სამაგრი დ-32 მმ	ც	40,00	0,55	22,00	0,00	0,00	0,00	0,00	22,00
19	პოლიპროპილენის მილის სამაგრი დ-25 მმ	ც	14,00	0,35	4,90	0,00	0,00	0,00	0,00	4,90
20	პოლიპროპილენის მილის სამაგრი დ-20 მმ	ც	6,00	0,30	1,80	0,00	0,00	0,00	0,00	1,80

	ჯამი:									6 734,18
	ზედნადები ხარჯები:		10%							673,42
	ჯამი:									7 407,60
	გეგმიური დაგროვება (მოგება):		8%							592,61
	ჯამი:									8 000,21
	გაუთვალისწინებული ხარჯები		3%							240,01
	სულ:									8 240,21
	დ.ღ.გ.		18%							1 483,24
	ჯამი:									9 723,45

შპს "ვიგორა"-ს დირექტორი: თემურ ქედელიძე